85
968/3.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 3 (326)

1968 წლის მარტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 3 (326) მარტი 1968 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

29. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „წითელწყაროსა და ადიგენის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში დეპუტატებთან მუშაობის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 17 აგვისტოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
30. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკაში.

განყოფილება მეორე

31. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
32. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ლ. გ. ასათიანისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
33. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ა. ნ. ინწკირველისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
34. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქართული ცირკის კოლექტივისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული კოლექტივის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
35. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გ. ტარსაიძის სახელობის თვალის სნეულებათა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
36. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ფ. ოთხმეზურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ხაპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 3

37. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. დ. ციხისთავის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

38. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ე. ორჯონიკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

39. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ს. ხარისჩარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.
საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

29 „წითელწყაროსა და ადიგენის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში დეპუტატებთან მუშაობის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 17 აგვისტოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 17 აგვისტოს დადგენილების შესასრულებლად.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მნიშვნელოვანი ნაწილი სათანადო დახმარებას უწევს დეპუტატებს ამომრჩევლებთან შეხვედრის ორგანიზაციის, ამომრჩეველთა განაწესების და წინადადებების აღრიცხვის, განხილვისა და შესრულების საქმეში. პერიოდულად ეწყობა დეპუტატთა თათბირები მათი უფლება-მოვალეობის, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი დადგენილებისა და საბჭოთა მშენებლობის ცალკეული საკითხების შესახებ. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ადგილობრივი საბჭოების ბევრმა დეპუტატმა საგრძნობლად გააუმჯობესა თავისი საქმიანობა. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სესიების, აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების მუშაობაში, განსახილველი საკითხების მომზადებაში, ქმედით ზომებს იღებენ ამომრჩევლებისათვის პარტიისა და მთავრობის დადგენილებების, სესიების გადაწყვეტილებების გასაცნობად.

გასულ წელს რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოს 48.147 დეპუტატიდან ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა 45.365 დეპუტატმა ანუ 94,4 პროცენტმა, ხოლო წითელწყაროსა და ადიგენის რაიონებში — ადგილობრივი საბჭოების ყველა დეპუტატმა.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების დიდი ნაწილი ყურადღებით ეკიდება ამომრჩევლების მიერ დეპუტატების წინაშე დაყენებული წინადადებების აღრიცხვას და ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს მათს შესასრულებლად.

1967 წელს ადიგენის რაიონული საბჭოს დეპუტატების წინაშე დაყენებული 82 წინადადებიდან შესრულებული იქნა 52 წინადადება, ხოლო 23 საკითხი, რომლებიც ძირითადად ეხებოდა წყლის მილების და სამშენებლო მასალების გამოყოფას, განსახილველად დასმული იქნა ზემდგომი ორგანოების წინაშე. კარგი თაოსნობა გამოიჩინა რაიონული საბჭოს დეპუტატმა პ. პეტრიაშვილმა, რომელმაც სოფლის ყრილობას განსახილველად წარუდგინა წინადადება სოფელ უდეში კულტურის სახლის მშენებლობის შესახებ; ამჟამად აღნიშნული კულტურის სახლის მშენებლობა, მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით, დასასრულს უახლოვდება. ამავე წესით სოფელ ბენარადან სოფელ ვარხანში მიმავალი ცენტრალური გზის ორივე მხარეს გაკეთდა ღობეები და დაირგო 7.000 ძირი

ხე. ტყიბულის საქალაქო საბჭოს დეპუტატების წინაშე ამომრჩევლების მიერ დაყენებული 57 წინადადებიდან შესრულებულია 42 წინადადება. ბევრ რაიონში დეპუტატებს ქმედითად ეხმარება ადგილობრივი პრესა და რადიოგადაცემები, რომლებიც პერიოდულად აშუქებენ საბჭოების აღმასკომებისა და დეპუტატების დადებითი მუშაობის გამოცდილებას.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ „წითელწყაროს და ადიგენის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში დეპუტატებთან მუშაობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 17 აგვისტოს დადგენილების განხორციელების საქმეში ზოგიერთი საბჭოს აღმასკომს გააჩნია არსებითი ნაკლოვანებანი. ისინი არასაკმარისად ეხმარებიან დეპუტატებს თავიანთი მოვალეობის შესრულებაში, იშვიათად აწყობენ დეპუტატების თათბირებს მათი უფლება-მოვალეობისა და საბჭოების წინაშე მდგარი ამოცანების შესახებ. დეპუტატების ერთი ნაწილი ვერ ერკვევა თავის უფლება-მოვალეობებში, არ მონაწილეობს სესიებისა და აღმასკომის სხდომებისათვის საკითხების მომზადება-განხილვაში. შემოწმებით გამოირკვა, რომ წალკის რაიონული საბჭოს აღმასკომი ნაკლებად აქცევს ყურადღებას დეპუტატებთან მუშაობის საკითხებს. ზოგ რაიონულ საბჭოს აღმასკომს არ განუხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აღნიშნული დადგენილება და არ დაუსახავს ღონისძიებანი დეპუტატებთან მუშაობის გასაუმჯობესებლად.

წითელწყაროს რაიონის კასრისწყლის სასოფლო საბჭოს სესიაზე განსახილველად შეტანილი ოთხი საკითხიდან მხოლოდ პირველი საკითხის განხილვაში მიიღო მონაწილეობა ორმა დეპუტატმა.

ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი სათანადო ყურადღებას არ უთმობს დეპუტატების წინაშე ამომრჩეველთა მიერ დაყენებული წინადადებების აღრიცხვისა და განხილვის საქმეს. ტყიბულის საქალაქო, ამბროლაურის რაიონის წესის, ონის რაიონის პიპილეთისა და უწერის სასოფლო საბჭოების აღმასკომებს არ განუხილავთ დეპუტატების წინაშე დაყენებული წინადადებანი და არ დაუსახავთ ღონისძიებები მათ შესასრულებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს მიიღონ ზომები „წითელწყაროს და ადიგენის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში დეპუტატებთან მუშაობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 17 აგვისტოს დადგენილების შესასრულებლად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, ჭიათურისა და ტყიბულის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეონ ქვემდგომი საბჭოების დეპუტატებთან მუშაობას, ამასთან პერიოდულად მოაწყონ ამ საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა და მდივანთა თათბირები და სემინარები დეპუტატებთან მუშაობის საკითხებზე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და ცენტრალურ უწყებებს მითითება მისცენ მათი დაქვემდებარების ადგილობრივ ორგანოებს დრო-

ულად და საფუძვლიანად განიხილონ დეპუტატების მიერ წარმოდგენილი შენიშვნები და წინადადებანი და მიიღონ საჭირო ზომები მათს შესასრულებლად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას (ამხ. მ. ბალათურია) თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1968 წლის 27 მარტი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

30 სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ს. რიგვავას მოხსენება სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების მდგომარეობის შესახებ — აღნიშნავს, რომ მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესების მიზნით რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა; განმტკიცდა კინოქსელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეცვლილ იქნა მოძველებული ტიპის კინოაპარატურა, გაუმჯობესდა კინოთეატრების მშენებლობის საქმე. 1967 წლის ბოლოსათვის რესპუბლიკაში არსებული 1.688 კინოდანადგარიდან 1.271 ემსახურებოდა სოფლის მოსახლეობას, ხოლო 600 ფართოეკრანიანი კინოთეატრიდან 450-ზე მეტი განლაგებულია სოფლად. საგრძნობლად გაუმჯობესდა სოფლის კინოქსელში კინოს ჩვენების ხარისხი, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ბავშვთა კინომომსახურებას.

ამასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის კინოქსელის მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს უშლიან სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესებას. არც ერთ რაიონში არ შესრულებულა ზემდგომი ორგანოების დადგენილება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრებით 1960—1965 წლებში სოფლად კინოთეატრების მშენებლობის შესახებ. რესპუბლიკის 2.500-ზე მეტი დასახლებული პუნქტი კინომომსახურების გარეშეა დარჩენილი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 150 დასახლებული პუნქტი, სადაც 12 ათასი მცხოვრებია, შენობების უქონლობის გამო მოკლებულია კინომომსახურებას. ჭიათურის 62 სოფლიდან კინომომსახურებას ვერ უწევენ 39 სოფელს, მათ შორის არის ისეთი დიდი სოფლები, როგორიცაა შუქრეთი, თაბაგრები, დიდი კაცხი. გარდაბნის რაიონის 74 დასახლებული პუნქტიდან კინოს დემონსტრაცია არ ეწყობა 44 სოფელში (მათ შორის შინდისში, ნორიოში, ყარათაღლაში, გამარჯვებაში, მუღანლოში, გარდაბნის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დასახლებაში და სხვ.). ბოლნისის რაიონის ზოგიერთ სოფელში კინოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჩვენებენ პირუტყვის სადგომებში. ასეთივე ნაკლოვანებებია დუშეთის, მარნეულის, ახმეტის, კასპის, ზესტაფონის, თეთრიწყაროს, ჩოხატაურის, თიანეთის, ხობის, ცაგერის, წყალტუბოს, ვანის და რესპუბლიკის ზოგ სხვა რაიონში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი ჯერ კიდევ ცუდად ამარაგებს კინოქსელს და კინოსარემონტო სახელოსნოებს სათადარიგო ნაწილებით, ავტომანქანების საბურავებით, საღებავებით, სარეკლამო ქაღალდით და სხვ.

სათანადო ყურადღება არ ექცევა კინოაპარატურისა და კინომოწყობილობის სწორად გამოყენების საქმეს. ბევრი კინომექანიკოსის დაბალი კვალიფიკაციის გამო ხშირია კინოდანადგარების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების უხეში დარღვევის შემთხვევები; ეს იწვევს მათ ნაადრევად მწყობრიდან გამოსვლას, კინოფირების დიდი რაოდენობით დაზიანებასა და კინოდანადგარების მნიშვნელოვან მოცდენას.

ნაკლოვანებებია კინომექანიკოსთა კადრების მომზადების საქმეში. კინომექანიკოსთა არსებული სკოლა ვერ აკმაყოფილებს რესპუბლიკის კინოქსელს კადრებით. ქართულ ენაზე არ არსებობს არავითარი ლიტერატურა კინოტექნიკის შესახებ.

„საქსოფლტექნიკა“ და მისი ადგილობრივი განყოფილებები არ ამარაგებენ კინოქსელს ავტომანქანების სათადარიგო ნაწილებით.

კინოგაქირავების რესპუბლიკურ კანტორას და მის სარაიონთაშორისო განყოფილებებს წლის დასაწყისისათვის არა აქვთ ხოლმე მხატვრული, სამეცნიერო-პოპულარული, ქრონიკალურ-დოკუმენტური, სასოფლო-სამეურნეო, მულტიპლიკაციური და სხვა ფილმების ფონდის კატალოგები, რაც მნიშვნელოვნად აძნელებს რეპერტუარის შერჩევას. სოფლის კინოქსელი არ არის უზრუნველყოფილი საკმაო რაოდენობის ქართული და ქართულ ენაზე დუბლირებული ფილმებით.

ცუდად არის დაყენებული ფილმების რეკლამირება, ამ საქმეში ნაკლებად იყენებენ ადგილობრივ პრესას, რადიოსა და სხვ.

სუსტად ხორციელდება კონტროლი კინოქსელის მუშაკთა საქმიანობაზე. ადგილი აქვს კინოსეანსებზე უბილეთო მაყურებელთა დაშვებისა და ერთხელ გაყიდული ბილეთების ხელმეორედ გაყიდვის ფაქტებს.

ბევრ სოფელში კინომექანიკოსებს მუშაობაში საჭირო დახმარებასა და კონტროლს არ უწევენ სასოფლო საბჭოები, მუდმივი კომისიები, დეპუტატები, სოფლის აქტივი და ინტელიგენცია.

ზოგიერთი საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომი არ სახავს სათანადო ღონისძიებებს სოფლად კინოქსელის გაფართოებისა და საერთოდ კინომომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ზემოთ აღნიშნულის შედეგად რესპუბლიკის კინოქსელმა 1967 წელს ვერ შეასრულა მოსახლეობის კინომომსახურებისა და კინოდან შემოსავლის სახელმწიფო გეგმები.

სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს სისტემატურად შეისწავლონ სოფლის კინოქსელის მუშაობა და განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების მკვეთრი გაუმჯობესებისა და კინოდან შემოსავლის სახელმწიფო გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად.

რისთვისაც:

ა) ზაფხულის პერიოდში კინოს ჩვენება უზრუნველყონ ყველა მსხვილ სასოფლო დასახლებულ პუნქტში; ამ მიზნით შეაკეთონ სოფლებთან მისასვლელი გზები, გამონახონ კინოს ჩვენებისათვის ვარგისი შენობები, ხოლო სოფლებში, სადაც ასეთი შენობები არ არის, უზრუნველყონ კინომოედნების გაკეთება, ბილეთების წინასწარი რეალიზაცია სოფლის აქტივის დახმარებით და კინოფილმების ჩვენება ავტოკინომოძრავებით, ღია ცის ქვეშ;

ბ) გააძლიერონ მუშაობა კინოში მაყურებელთა მისაზიდავად, საჭირო დახმარება აღმოუჩინონ კინოქსელის მუშაკებს საინტერესო მასობრივი ღონისძიებების მოწყობაში, ამ საქმეში ფართოდ ჩააბან ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები, მათი აქტივი და სოფლის ინტელიგენცია. სისტემატური კონტროლი დააწესონ კინოქსელის მუშაკთა საქმიანობისადმი და აღკვეთონ კინოსეანსებზე უბილეთო მაყურებელთა დასწრება.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს:

ა) მიიღოს ზომები სოფლად ფართოეკრანიანი გამარტივებული ტიპის ასაწყობი კონსტრუქციის კინოთეატრების პროექტთა დამტკიცების დასაჩქარებლად;

ბ) განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი ქართულ და ქართულ ენაზე დუბლირებულ კინოფილმთა გამოშვების გეგმის შესასრულებლად, უზრუნველყოს ამ ფილმების ასლებით სოფლის კინოქსელი. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კინოსურათების ჩვენებას იმ ენაზე, რომელიც შეესაბამება რაიონის მოსახლეობის ნაციონალურ შემადგენლობას;

გ) უახლოეს დროში აღმოფხვრას სერიოზული ნაკლოვანებანი მომარაგების სამმართველოს საქმიანობაში და უზრუნველყოს კინოქსელი და კინოსარემონტო სახელოსნოები სათადარიგო ნაწილებითა და ინვენტარით;

დ) მკვეთრად გააუმჯობესოს კინოგაქირავების რესპუბლიკური კანტორისა და მისი სარაიონთაშორისო განყოფილებების საქმიანობა, მიაღწიოს იმას, რომ ამ კანტორამ წლის დასაწყისისათვის უზრუნველყოს ფილმების ფონდის ყველა სახის კატალოგების შედგენა, არსებული ფილმების ფონდიდან საბავშვო, ქრონიკალურ-დოკუმენტური და სასოფლო-სამეურნეო სეანსებისათვის პროგრამების სისტემატურად დაკომპლექტება, არ დაუშვას უხარისხო და წინასწარ შეუმოწმებელი კინოფილმების დემონსტრირება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ყოველთვიური სარეპერტუარო გეგმის შედგენას და მის შესრულებას;

ე) მიიღოს ზომები კინომექანიკოსთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ამ მიზნით მათთვის მოაწყოს კინომექანიკოსთა ერთდროული გადასამზადებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურსები, კინომექანიკოსთა ტექნიკური ცოდნის დონის ასამაღლებლად უზრუნველყოს სათანადო ლიტერატურის გამოცემა ქართულ ენაზე;

ვ) კონტროლი გაუწიოს აღნიშნული დადგენილების შესრულებას და შედეგი მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1969 წლის იანვრისათვის.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს:

ა) სოფლად კინოთეატრების მშენებლობისა და რესპუბლიკაში კინომექანიკოსთა კადრების მომზადების გაუმჯობესების ღონისძიებანი;

ბ) ავტომანქანების შეკეთებისა და კინოქსელის სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფის საკითხი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 27 მარტი.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

31 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“**:

1. ნოდარ იაკობის ძე **გურგენაძე** — ქ. ფოთის 1-ლი პროფესიონალური სახანძრო ნაწილის ყარაულის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

2. ოსკან არშაკის ძე **ნურალაშვილი** — ქ. ფოთის 1-ლი პროფესიონალური სახანძრო რაზმის მეხანძრე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 27 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

32 პროფესორ ლ. ბ. ასათიანისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით, თბილისის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაციის კათედრის გამგეს პროფესორ ლევან გიორგის ძე ასათიანს მიენიჭოს **საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 7 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

33 პროფესორ ა. ნ. ინწკირველისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ამბროსი ნესტორის ძე **ინწკირველს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 7 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღ[illegible] [illegible]ს პრეზიდიუმისა

34 ქართული ცირკის კოლექტივისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული კოლექტივის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საცირკო ხელოვნების პროპაგანდაში მიღწეული წარმატებებისათვის ქართული ცირკის კოლექტივს მიენიჭოს **საქართველოს სსრ** დამსახურებული **კოლექტივის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 7 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

35 გ. ტარსაიძის სახელობის თვალის სნეულებათა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის, დაარსების სამოცდამეთხუთმეტე წლისთავთან დაკავშირებით: **გ. ტარსაიძის სახელობის თვალის სნეულებათა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 6 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

36 ამხ. ვ. ფ. ოთხმეზური საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ქირურგიის II კათედრის დოცენტი ვასილ ფირანის ძე **ოთხმეზური** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 6 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

37 ამხ. მ. დ. ციხისთავის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მარცვლეული და ტექნიკური კულტურების სამმართველოს უფროსი ამხ. მიხეილ დავითის ძე **ციხისთავი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 6 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

38 ამხ. გ. ე. ორჯონიკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის უფროსი კონსულტანტი ამხ. გიორგი ესტატეს ძე **ორჯონიკიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 11 მარტი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

39 ამხ. ი. ს. ხარისჩარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ამხ. ივანე სიმონის ძე **ხარისჩარიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 18 მარტი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის გ. ვაშაკიძის მოხსენება და მუდმივი კომისიის თავმჯდომარის თ. მოსაშვილის თანამოხსენება — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მიერ მშენებლობის 1967 წლის გეგმების შესრულების შედეგების შესახებ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მუდმივი კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა გ. შენგელიამ, ვ. გოცირიძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ფირცხალავამ, საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილემ მ. მაღრაძემ, სა-

ქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ო. თუხარელმა და სხვებმა.

განხილული საკითხის გამო კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

* * *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის კინოფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსის ა. კევლიშვილის მოხსენება „რესპუბლიკაში სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების მდგომარეობის შესახებ“.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მუდმივი კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა ს. დოლიძემ, შ. გაგოშიძემ, ნ. ჩაგუნავამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ შ. სალარიძემ.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა ს. რიგვავამ.

კომისიამ საკითხი განსახილველად შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

მუდმივი კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1968 წლის 27 მარტის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებით და „დედობის მედლებით“ დააჯილდოვა 234 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	. . . . .	11
ქ. რუსთავიდან	. . . . .	10
ქ. ჭიათურიდან	. . . . .	14
ქ. ფოთიდან	. . . . .	5
აბაშის	რაიონიდან	23
ასპინძის	„	11
ბოლნისის	„	46
გორის	„	10
დუშეთის	„	14
თიანეთის	„	1
ზუგდიდის	„	14
მარნეულის	„	47
საჩხერის	„	13
სიღნაღის	„	5
ხობის	„	10